დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 29 08
24/05/2019

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარით აუქციონის წესით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, შპს ,,აუდიტორული ფირმა საპიენტი სატი -777''-ის 2019 წლის 19 აპრილის №1-19.04./19-1; №1-19.04./19-2; №1-19.04./19-3; აუდიტორული დასკვნისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 14/05/2019 წლის №07/1843 წერილის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს თანდართული დანართით წარმოდგენილი დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები იჯარით, აუქციონის წესით.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

აუქციონზე გასატანი დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

N	დასახელება	დანიშნულება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	საბაზრო ღირებულება (ლარში)
1	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სათიბი	ქ. დმანისი	82.14.41.185	958	200
2	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საძოვარი	საზაფხულო საძოვარი კონტური N15	82.17.41.071	1000854	1621.38
3	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საძოვარი	საზაფხულო საძოვარი კონტური N13	82.17.41.070	814777	1319.94
4	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სათიბი	ს. დალარი	82.14.43.547	135000	243
5	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საძოვარი	საზაფხულო საძოვარი კონტური N37	82.17.42.109	500000	810
6	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საძოვარი	საზაფხულო საძოვარი N9	82.17.41.133	652361	1056.82
7	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საძოვარი	საზაფხულო საძოვარი N1	82.17.41.131	472600	765.61
8	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საძოვარი	საზაფხულო საძოვარი N1	82.17.41.132	1330700	2155.73